



ბანკი & თაბარიტი

ფინანსთა უსაქმობა

გლობალური კაპიტალის ბაზრები

2Q26 მოლოდინები



აპრილი 2026




გლობალური კაპიტალის ბაზრები - 2Q26 მოლოდინები

ძირითადი მიგნებები

- აშშ-სა და ირანს შორის ომით გამოწვეული ენერგო ხარჯები და ტარიფების გავლენა ინფლაციას ზრდის, რის გამოც ფედერალურ სარეზერვო სისტემა არ ამცირებს საპროცენტო განაკვეთებს. მარტში ინფლაცია 3.3%-მდე გაიზარდა — ამ პირობებში მოკლევადიანი ობლიგაციები ინვესტორთა საუკეთესო არჩევანია.
- S&P 500 ინდექსმა რეკორდულ მაქსიმუმს მიაღწია. პირველი კვარტლის მოგება 15.1%-ით გაიზარდა. მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიებიდან Alphabet გამოეყო დანარჩენებს — მისი აქციები სავაჭრო სესიის შემდეგ 6%-ით გაძვირდა; Microsoft-მა და Amazon-მა მოლოდინები გადააჭარბეს; Meta-ს აქციები სუსტი პროგნოზის გამო 5%-ით დაეცა.
- ირანის კონფლიქტმა თანამედროვე ისტორიაში ნავთობის მიწოდების ყველაზე დიდი შეფერხება გამოიწვია, ბრენტის ნავთობის ფასმა ბარელზე 112 დოლარს გადააჭარბა მას შემდეგ, რაც 11-12 აპრილს დაგეგმილი აშშ-ირანის მოლაპარაკებები პაკისტანში ჩაიშალა.
- ირანის კონფლიქტმა აზიის ქვეყნებზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან ჰორმუზის სრუტით გამავალი ნავთობისა და LNG-ის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ რეგიონში მიედინება. მიუხედავად ამისა, ჩინეთში პირველი კვარტლის მშპ-ს ზრდამ 5.0%-ს მიაღწია. ხოლო იაპონიაში პოზიტიურ დინამიკას იენი, AI ინვესტიციები და კორპორატიული რეფორმები განაპირობებს.

შერჩეული აქტივების კლასების შემოსავლიანობა, 1Q26 (იან 1 – კვარტლის ბოლომდე)



წყარო: ბლუმბერგი

Silver: iShares Silver Trust (SLV); Gold: SPDR Gold Trust (GLD); Eurozone Equities: iShares MSCI Eurozone ETF (EZU); EM Equities: iShares MSCI Emerging Markets ETF (EEM); Japan Equities: iShares MSCI Japan ETF (EWJ); US Equities (small cap): Russell 2000 (RUT); Investment Grade Bonds: iShares Investment Grade Corporate Bond ETF (LQD); High Yield Bonds: iShares High Yield Corporate Bond ETF (HYG)



ობლიგაციების ბაზარი

2Q26-ში ობლიგაციების ინვესტორები ბაზარზე, წინა წელთან შედარებით განსხვავებულ სურათს ხედავენ. აშშ-ს ფედერალურმა რეზერვმა 29 აპრილს განაცხადი 3.50–3.75%-ზე უცვლელად დატოვა, რაც ზედიზედ მესამე პაუზაა. ეს იყო ჯერომ პაუელის ბოლო სხდომა თავმჯდომარის რანგში. მისი შემცვლელი მაისში კვეინ უორში უნდა გახდეს.

ყურადღება პაუელის ბოლო პრესკონფერენციაზეა და მისი სიგნალებზე მომავალ პოლიტიკასთან დაკავშირებით. პაუელი ფედის მმართველთა საბჭოში რჩება და გავლენას ინარჩუნებს.

ინფლაციის ზრდა

აშშ-ში წლიური ინფლაცია მარტში 2.4%-დან 3.3%-მდე გაიზარდა. ამის მიზეზია სასაქონლო ტარიფების გადატანა სამომხმარებლო ფასებში - წინასწარ შეძენილი, იაფი საქონლის მარაგების ამოწურვა და ირანის კონფლიქტით გამოწვეული ენერგეტიკული ფასების ზრდა. მხოლოდ ტარიფების ეფექტმა შეიძლება წლის შუა რიცხვებისთვის ინფლაციის მაჩვენებელი დამატებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაზარდოს. ფედერალურმა რეზერვმა განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში განაკვეთის გაზრდაც განიხილება.


ევროპა: პაუზა სიფხიზლის ფონზე

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ბოლო შეხვედრაზე განაცხადი უცვლელად დატოვა, რაც მიმდინარე წლის დასაწყისში დაწყებული შერბილების ციკლის შემდეგ სიფხიზლის შენარჩუნებას ასახავს. განახლებული პროგნოზებით, 2026 წელს ინფლაცია 2.6%-ს, ხოლო ეკონომიკური ზრდა 0.9%-ს მიაღწევს. ECB-ის შეფასებით, მონეტარული პოლიტიკა კვლავ მონაცემებზე იქნება დამოკიდებული და დამატებითი გამკაცრების წინასწარი სიგნალი არ იკვეთება.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ამ ეტაპზე ობლიგაციებიდან სტაბილური შემოსავლის მიღება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფასების ზრდაზე კონცენტრირება. 2-დან 5 წლამდე ვადიანობის მოკლევადიანი ობლიგაციები გონივრულ სარგებელს სთავაზობს ინვესტორებს გადაჭარბებული საპროცენტო რისკის გარეშე. უმჯობესია ყურადღება მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე მსესხებლებზე გამახვილდეს. ევროპაში გრძელვადიანი ობლიგაციები უფრო სარისკოა, რადგან ECB-ს განაკვეთების გაზრდასაც განიხილავს. ინფლაციასთან ინდექსირებული ობლიგაციები, მაგალითად TIPS, ასევე სასარგებლო ინსტრუმენტია მაღალი ინფლაციის პერიოდში შემოსავლების დასაზღვევად.


აშშ-ის სახაზინო ობლიგაციები



წყარო: ბლუმბერგი

*წყვეტილი ხაზები ასახავს პროგნოზს 2026 წლის იანვრის შემდეგ.

Fed და ECB-ის საპროცენტო განაკვეთი



წყარო: Fed, ECB



საფონდო ბაზარი

ამერიკის საფონდო ბაზარმა შთამბეჭდავი შედეგები აჩვენა. S&P 500 რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და სრულად დაიბრუნა ის დანაკარგი, რომელიც ირანთან კონფლიქტმა გამოიწვია. Nasdaq Composite-ს კი 1992 წლის შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი ზრდა ჰქონდა.

ბაზარი ნეგატიურ სიახლეებს სულ უფრო მშვიდად ხვდება - ჰორმუზის სრუტესთან დაკავშირებული თითოეული მოვლენა სულ უფრო მცირე რყევებს იწვევს. ამის მიუხედავად, აქციები ძვირია და S&P 500 ისტორიულ საშუალო მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

კომპანიების ფინანსური შედეგები მოლოდინებს აჭარბებს - მოგება 15.1%-ით იზრდება, რაც მეექვსე თანმიმდევრული ძლიერი კვარტალი იქნება. ყველაზე მოულოდნელი შედეგი Intel-მა წარმოადგინა: შემოსავალი პროგნოზს 1 მილიარდ დოლარზე მეტით გადააჭარბა და აქციის ფასი ერთ დღეში 23.6%-ით გაიზარდა. რაც, 1987 წლის შემდეგ ყველაზე დიდი ერთდღიანი მატება.


ეს კვირა გარდამტეხი აღმოჩნდა. Microsoft-მა, Alphabet-მა, Meta-მ, Amazon-მა და Apple-მა შედეგები გამოაქვეყნეს. აღნიშნული კომპანიები ერთობლივად 2026 წელს ხელოვნური ინტელექტისთვის 645 მილიარდ დოლარზე მეტის დახარჯვას გეგმავენ. მათი განცხადებები AI ინფრასტრუქტურის მიმართ ნდობას აძლიერებს, თუმცა სავაჭრო სესიის შემდგომი, არაერთგვაროვანი რეაქციები მიუთითებს, რომ ბაზარი სულ უფრო მეტად შემოსავლიანობის მოლოდინებს აფასებს.

ამ ინვესტიციებზე გაკეთებულმა განცხადებებმა AI ინფრასტრუქტურაში ხარჯების მიმართ ნდობა გააძლიერა, თუმცა შერეული რეაქცია სავაჭრო სესიის შემდეგ მიუთითებს, რომ ბაზარი სულ უფრო მეტად ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ ხარჯებს, არამედ მათგან მიღებულ შედეგებსაც.

საინვესტიციო შესაძლებლობები

თუ აშშ-ირანის მშვიდობიანი მოლაპარაკებები წარიმართება, ტექნოლოგიურ და პროგრამულ კომპანიებს ზრდის დამატებითი პოტენციალი ექნებათ. თუ კონფლიქტი გაგრძელდა, ენერგეტიკის, თავდაცვისა და ყოველდღიური მოხმარების სექტორის აქციები კვლავ სტაბილურ არჩევანად დარჩება. გრძელვადიანი ინვესტორებისთვის ხელოვნური ინტელექტში — ჩიპები, ენერგეტიკა და მონაცემთა შენახვა — ინვესტირება კვლავ პერსპექტიულ მიმართულებად რჩება. ვინაიდან მოლოდინები უკვე მაღალია, კომპანიების მომავალ გეგმებზე განცხადებები გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გასული კვარტლის შედეგები.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული ინდექსების ღირებულების ცვლილება



წყარო: ბლუმბერგი

*Index value - როგორ იცვლება შერჩეული აქციებისგან შედგენილი პორტფელი, სადაც თითოეულ აქციას აქვს თავისი წილი და დროთა განმავლობაში ხდება კორექტირება, იმისათვის, რომ შედეგები ერთმანეთთან შესადარებელი იყოს.



ნავთობი და ენერგეტიკა

ირანის კონფლიქტი უკვე მეცხრე კვირაა გრძელდება და საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს შეფასებით, თანამედროვე ისტორიაში ენერგეტიკის ყველაზე მძიმე კრიზისი გამოიწვია. ჰორმუზის სრუტე, რომელზეც მსოფლიოს ნავთობის ვაჭრობის დაახლოებით 20% გადის, პრაქტიკულად დაკეტილია - აშშ და ირანი სავაჭრო გადაზიდვებს ორივე მხრიდან ბლოკავენ.


ამის შედეგად ნავთობის ფასები მკვეთრად მერყეობს. Brent crude მარტის ბოლოს ბარელზე 112 დოლარამდე გაიზარდა. 8 აპრილს ცეცხლის შეწყვეტის გამოცხადების შემდეგ ფასები ერთ დღეში თითქმის 13%-ით დაეცა, თუმცა, როცა აშშ-მ საზღვაო ბლოკადა გამოაცხადა, კვლავ 8%-ით მოიმატა. ომის დამთავრების შემთხვევაშიც სავარაუდოდ, ნავთობის მიწოდების სრულად აღდგენას 4-6 თვე დასჭირდება.

ნავთობის ფასების მომავალ მიმართულებაზე ერთიანი ხედვა არ არსებობს და სწორედ ეს გაურკვევლობაა მთავარი ფაქტორი. გაერთიანებულმა საემიროებმა ამ კვირაში განაცხადა, რომ ტოვებს OPEC-ს. საომარი ვითარებების გავლენა მხოლოდ ნავთობით არ შემოიფარგლება - ევროპაში გაზი გაძვირდა, ხოლო სამხრეთ ამერიკისა და აზიის ნაწილებში სასუქის დეფიციტის გამო საკვების წარმოება რისკის ქვეშ დგას.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ნავთობკომპანიების აქციები წელს უკვე დაახლოებით 34%-ით გაიზარდა, ამიტომ პოზიტიური მოლოდინების დიდი ნაწილი ფასებზე აისახა და მშვიდობის შეთანხმებამ შესაძლოა ეს ზრდა სწრაფად დააბრუნოს. უფრო მდგრადი შესაძლებლობები სხვა სექტორებშია: კონფლიქტმა გააძლიერა განახლებადი ენერგიის, ბირთვული ენერგეტიკისა და ალტერნატიული გაზის წყაროების მხარდაჭერა, რადგან ქვეყნები ცდილობენ შეამცირონ ახლო აღმოსავლეთზე დამოკიდებულება.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.



აზიის ბაზარი

აზია ირანთან კონფლიქტის პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონია, რადგან ჰორმუზის სრუტით გამავალი ნავთობის 84% და გაზის 83% სწორედ აზიურ ქვეყნებზე გადის. კრიზისის მოგვარების ბოლო მცდელობა — აშშ-სა და ირანს შორის მოლაპარაკება პაკისტანში ჩაიშალა მას შემდეგ, რაც დონალდ ტრამპმა საკუთარი წარმომადგენლების ვიზიტი გააუქმა, რის შედეგადაც ვითარება კვლავ გაურკვეველი დარჩა.

ჩინეთი შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია: ეკონომიკა პირველ კვარტალში 5%-ით გაიზარდა, რაც მოლოდინს აღემატება, წარმოება და ექსპორტი ძლიერია. ჩინეთის აქციებიც რეგიონში საუკეთესო შედეგს აჩვენებს, ხოლო სახელმწიფო ობლიგაციების სარგებელი თითქმის უცვლელია, რაც ინვესტორების სიმშვიდეზე მიუთითებს. სუსტი ეკონომიკური რგოლი მოხმარებაა, რომელიც მარტში მხოლოდ 2.4%-ით გაიზარდა. ამის ფონზე, საერთაშორისო მონეტარულმა ფონდმა 2026 წლის ზრდის პროგნოზი ჩინეთისთვის 4.4%-მდე შეამცირა.


იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა განაკვეთი ისევ 0.75%-ზე დატოვა, თუმცა გადანაწევებები ეროსულოვანი არ ყოფილა - ცხრა წევრიდან სამმა დაუყოვნებლივ გაზრდას დაუჭირა მხარი. ეს უთანხმოება მიუთითებს, რომ ივნისამდე ზრდა უფრო რეალურია. ივნმა გამყარდა, ხოლო აქციების ფასები შემცირდა. Nikkei 225 კვირის დასაწყისში რეკორდულ 60,537-მდე ავიდა, კომპანიები კი აქტიურად ყიდულობენ საკუთარ აქციებს, რაც ნდობის ზრდაზე მიუთითებს.

სამხრეთ კორეაშიც ანალოგიური სურათი იყო: აქციებმა აპრილის დასაწყისში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია ჩიპებზე გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, თუმცა ნავთობის ფასების ზრდის რისკებმა ბაზარზე უარყოფითი ცვლილებები გამოიწვია. სამხრეთ კორეა და ტაივანი განსაკუთრებით დაზარალებიან თუ კონფლიქტი გაგრძელდება და ტექნოლოგიური მიწოდების ჭაჭვებს დაარღვევს.

საინვესტიციო შესაძლებლობები

ამ ეტაპზე რეგიონში ყველაზე სტაბილურად ჩინეთი გამოიყურება, რომელმაც როგორც ეკონომიკური, ისე საბაზრო მდგრადობა აჩვენა. იაპონია გრძელვადიანად მიმზიდველია, თუმცა ინვესტორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იენის შესაძლო გამყარებას. მთლიანად რეგიონისთვის გადამწყვეტი ფაქტორია, ექნება თუ არა შედეგი ირანის ბოლო ინიციატივას - ჰორმუზის სრუტის გახსნა, რომელიც აზიური ბაზრისთვის მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორი იქნება.


შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Total return - ინვესტორის სრული მოგება აქციიდან - მოცემულ პერიოდში, ორი ფაქტორის გათვალისწინებით: აქციის ფასის ცვლილება (გაძვირება/გაიაფება) და დივიდენდები, რომლებიც ამ პერიოდში მიიღო.

შერჩეული აქციების მთლიანი შემოსავალი



წყარო: ბლუმბერგი

*Price to Book - ასახავს, რამდენად მაღალია კომპანიის ბაზრის ფასი მის ბალანსზე ასახულ აქტივებთან შედარებით.



2026 წლის მოლოდინები

დღევანდელი ბაზრის მოლოდინებით, აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების სარგებელი ჯერ გაიზრდება და შემდეგ შემცირდება. 2-წლიანი სარგებელი II კვარტალში დაახლოებით 3.69%-მდეა მოსალოდნელი, წლის ბოლომდე კი თანდათან 3.49%-მდე დაიწევს. 10-წლიანი სარგებელი II კვარტალში 4.26%-მდე მოიმატებს და IV კვარტალში დაახლოებით 4.18%-ზე დასტაბილურდება - რაც გრძელვადიანი ობლიგაციების მფლობელებისთვის ახლო პერიოდში მნიშვნელოვან შვებას არ ნიშნავს.

ევროპაში 10-წლიანი გერმანული ობლიგაციის (Bund) სარგებელი II კვარტალში 3.00%-მდე გაიზრდება და წლის ბოლომდე ამ დონესთან ახლოს დარჩება, ხოლო EURIBOR 2.31%-მდე მოიმატებს, რაც European Central Bank-ის მოსალოდნელი მონეტარული გამკაცრების ასახვაა.

ნავთობის ფასების პროგნოზებს ამჟამად ძალიან კონტრასტულია Goldman Sachs-მა Brent-ის 4Q საშუალო პროგნოზი \$90/ბარელამდე გაზარდა (\$80-დან). Citi მიუთითებს, რომ თუ შეფერხებები ივნისამდე გაგრძელდება, ფასმა შესაძლოა \$150-საც მიაღწიოს, რაც ახლა უფრო რეალურ რისკად ითვლება.

ფიქსირებული შემოსავალი

შემოსავლიანობის პროგნოზები (%)

	Last	2Q26F	3Q26F	4Q26F	1Q27F
აშშ-ს ობლიგაციები					
30-year	4.72	4.84	4.77	4.73	4.72
10-year	4.11	4.26	4.21	4.18	4.17
5-year	3.65	3.88	3.82	3.75	3.72
2-year	3.44	3.69	3.59	3.49	3.46
SOFR	3.49	3.6	3.47	3.36	3.28
გერმანიის ბონდები					
10-year	2.77	3.00	3.00	2.98	3.00
2-year	2.06	2.54	2.51	2.47	2.40
EURIBOR	2.07	2.31	2.40	2.42	2.41

წყარო: ბლუმბერგი

6-12-თვიანი მოლოდინები

S&P 500 სექტორები	ETF	მოლოდინები
Financials	XLF	
Materials	XLB	
Energy	XLE	
Technology	XLE	
Consumer Staples	XLB	
Communications	XLK	
Utilities	XLV	
Industrials	XLP	
Health Care	XLRE	
Real Estate	XLU	
Consumer Discretionary	XLI	

წყარო: Charles Schwab

აქციები	ETF	მოლოდინები
US	SPY	
Japan	EWJ	
China	MCHI	
UK	EWU	
Emerging Markets	EEM	
Europe	IEUR	

Positive Neutral Negative

წყარო: BlackRock Investment Institute



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს ღოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group-ის ("ჭაფუი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს ღოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ ღოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ ღოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს ღოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს ღოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ ღოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჭაფუის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ ღოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ ღოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს ღოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ ღოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჭაფუის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. ღოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ ღოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირების პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჭაფუის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ ღოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ ღოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ ღოკუმენტის საუფქველზე.

ამ ღოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ ღოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ ღოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ ღოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს ღოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ ღოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ ღოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჭაფუის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ ღოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ ღოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ ღოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჭაფუის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ ღოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჭაფუის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ ღოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ ღოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდილით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ ღოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: 3 A. Pushkin Street, Tbilisi 0108, Georgia

ტელ: +995 32 2401 111

კვლევების დეპარტამენტი: research@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერო დეპარტამენტი: sales@gt.ge

ტელ: +995 32 2444 132

საინვესტიციო ბანკინგის დეპარტამენტი: lb@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 (7457)

ევა ბოჭორიშვილი – კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ელ.ფოსტა: evabochoishvili@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 ext. 8036

მარიამ ნატროშვილი - კაპიტალის ბაზრების ანალიტიკოსი

ელ.ფოსტა: ma.natroshvili@gt.ge

ტელ: +995 32 2401 111 ext. 3452